<u>დამტკიცებულია რექტორის</u>

<u>26.03.2021 #19 ბრძანებით</u>

არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის - მართლმადიდებლური საღვთისმეტყველო უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების - საქართველოს სამოციქულო ავტოკეფალური მართლმადიდებელი ეკლესიის

თბილისის სასულიერო აკადემიისა და სემინარიის

დებულება

თბილისი

2021

მუხლი 1.ზოგადი დებულებები

1. წინამდებარე დებულება განსაზღვრავს არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის - მართლმადიდებლური საღვთისმეტყველო უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების - საქართველოს სამოციქულო ავტოკეფალური მართლმადიდებელი ეკლესიის თბილისის სასულიერო აკადემიისა და სემინარიის ძირითადი საგანმანათლებლო ერთეულების (ფაკულტეტები), სასწავლო-სამეცნიერო და დამხმარე სტრუქტურული ერთეულების, მათი შედგენილობის, მართვის ორგანოების, თანამდებობათა დაკომპლექტების წესსა და კომპეტენციას.

2. თსას-ის სტრუქტურას წესდებით მინიჭებული უფლებამოსილების ფარგლებში ამტკიცებს რექტორი.

მუხლი 2 . თსას-ის მართვის ორგანოები

1. თსას იმართება წესდებით განსაზღვრული უფლებამოსილების ფარგლებში, მმართველობის ორგანოების/მმართველი სუბიექტების მეშვეობით;

2. თსას-ის მართვაში მონაწილეობენ წესდების მე-5 მუხლით განსაზღვრული მართვის ორგანოები: რექტორი, სამეცნიერო საბჭო, სადისერტაციო საბჭო, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური;

3. სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის ლოცვა-კურთხევით, თსას-ს მართავს მისი რექტორი, რომელიც, იმავდროულად, არის სამეცნიერო საბჭოს თავმჯდომარე;

რექტორის დანიშვნის წესი და მისი უფლება-მოვალეობები გათვალისწინებულია თსას-ის წესდებით.

4. თსას-ში მოქმედი სამეცნიერო საბჭო არის თსას-ის კოლეგიური, აკადემიური (საგანმანათლებლო-სამეცნიერო) საქმიანობის მართვის უმაღლესი წარმომად-გენლობითი ორგანო და უფლებამოსილია მიიღოს გადაწყვეტილებები თავისი კომპეტენციის ფარგლებში.

სამეცნიერო საბჭოს შემადგენლობა და ფუნქციები რეგულირდება სამეცნიერო საბჭოს დებულებით;

5. თსას-ის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური პასუხისმგებელია სწავლებისა და კვლევითი მუშაობის ხარისხის განვითარებაზე.

თსას-ის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელს, სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის ლოცვა-კურთხევით, ნიშნავს თბილისის სასულიერო აკადემიისა და სემინარიის რექტორი.

თსას-ის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის შემადგენლობა და ფუნქციები რეგულირდება ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის დებულებით.

მუხლი 3. ძირითადი საგანმანათლებლო ერთეულები (ფაკულტეტები), სასწავლო-სამეცნიერო და დამხმარე სტრუქტურული ერთეულები

1. თსას-ის ძირითადი საგანმანათლებლო და სასწავლო-სამეცნიერო სტრუქტურული ერთეულები, მათი შედგენილობა და ფუნქციები განსაზღვრულია დებულებით ფაკულტეტებისა და კათედრების შესახებ;

2. თსას-ში სასწავლო, სამეცნიერო, ფინანსური, მატერიალური და ადმინისტრაციული რესურსების კონტროლის განსახორციელებლად, სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქთან შეთანხმებით, თსას-ის რექტორის მიერ თანამდებობაზე ინიშნებიან პრორექტორები. მათს უფლება-მოვალეობებს არეგულირებს მათთან გაფორმებული შრომითი ხელშეკრულება (სამუშაოს აღწერილობა);

3. თსას-ის დამხმარე სტრუქტურული ერთეულებია: რექტორის აპარატი, იურიდიული სამსახური, საფინანსო-სამეურნეო სამსახური, საზოგადოებასთან ურთიერთობისა და სტრატეგიული კომუნიკაციების სამსახური, დაცვისა და დასუფთავების სამსახური, შრომის უსაფრთხოების სამსახური, ბიბლიოთეკა, სამედიცინო სამსახური, სახელოსნო, პანსიონი.

თსას-ის დამხმარე სტრუქტურული ერთეულები და მათი მუშაობის წესი რეგულირდება დებულებით დამხმარე სტრუქტურულ ერთეულთა შესახებ.

მუხლი 4. თსას-ის დებულების მიღება, გაუქმება და ცვლილებების შეტანა

1. თსას-ის დებულებას იღებს სამეცნიერო საბჭო და ამტკიცებს რექტორი;

2. დებულების მიღება, გაუქმება, მასში ცვლილებებისა და დამატებების შეტანა ხორციელდება იმავე წესით.